

28.05
20:00

ნათესავები

რეჟ. იაკუბ მისალჩუკ, ტრაგიკომედია, პოლონეთი, 2021,
82 წთ. 16+



"ნათესავები" არის კომედიური დრამა, რომელიც ვითარდება ქორწილში, ჩაშლილი ჯგერისწერის შემდეგ, სადაც საკრალური "დიახ" არ ითქვა. ქორწინება ჩაიშალა პრაქტიკულად ეკლესიის ზღვრებზე, ქორწილის დღეს. ლუკაში, საქმრო გადანყვეტილებას ცვლის. არავინ იცის რა მიზეზით. დაბნეულობა, ცრემლები... მაგრამ სტუმრები მოვიდნენ, ზოგი შორიდან ჩამოვიდა. სადილზე ხომ მაინც უნდა დაპატიჟონ. პატარძლის და სიძის მშობლები ერთმანეთს საქორწილო დარბაზის უკან ხვდებიან. ეს ისტორია მათზეა.

29.05
18:15

**ღვთისმშობლის
ფიგურები**

რეჟ. დარია ვოშეკ, ტრაგიკომედია, პოლონეთი, 2020,
75 წთ. 16+



ფილმის მთავარი გმირი 50 წლის მარიაა, რომელიც ძირითადად დროს ატარებს ღვთისმშობლის ფიგურებით სავსე ბინაში, ეწევა სიგარეტს, სვამს მარტინს, კითხულობს ვნებიან რომანებს და აბაზანას ღებულობს სანთლის შუქზე. დღის დანარჩენ დროს ქალი ადგილობრივ სუპერმარკეტში ატარებს, სადაც მუშაობს. მისი რუტინა დროდადრო წყდება, როდესაც მასთან მოულოდნელად და ქაოტურად მისი დისშვილი ელენა სტუმრობს. ის მარიამთან მოდის, როდესაც მას სამყარო ბებრდება და ტკივილს აყენებს. ასე ემალებიან სამყაროს ღვთისმშობლის ფიგურებით. ეს ერთფეროვნება მთავრდება მაშინ, როდესაც მარია იწყებს ჩანაცვლებით ჰორმონალურ თერაპიას, რომელიც გასაოცარ, მშფოთვარე და გარკვეულწილად მხიარულ გავლენას ახდენს მასზე და მის გარშემო მყოფებზე.

29.05
20:00

**იკაროსი. მიიღებ კოვის
ლაგუნდა**

რეჟ. მარეი პიპუცა, ბიოგრაფიული, პოლონეთი, 2019,
117 წთ. 16+



გენიალური ჯაზ-პიანისტის, არანჟატორისა და კომპოზიტორის ბიოგრაფია. მიეტეკი (დავით ოგროდნიკი) ბავშვობაში მხედველობას კარგავს. დედამისი (იოვიტა ბუდნიკი) ლასკში მონაზვნების მიერ ორგანიზებულ უსინათლოთა ცენტრში მიიყვანს. იქ ბიჭი აღმოაჩენს, რომ მუსიკა შეიძლება გახდეს მისთვის სამყაროს ახლიდან დანახვისა და თხრობის საშუალებად. მიეტეკი ხდება შესანიშნავი კლასიკური პიანისტი. თუმცა, როდესაც ის აღმოაჩენს ჯაზს, მას მხოლოდ ერთი მიზანი რჩება: გახდეს პოლონეთის საუკეთესო ჯაზ-პიანისტი. ის სულ უფრო წარმატებული ხდება არა მარტო ქვეყანაში, არამედ მსოფლიოშიც. პრესტიჟულ Montreux Jazz Festival - ში იმარჯვებს. ქარიზმატული მომღერალი ზუზა (იუსტინა ვასილევსკა) მის ცხოვრებაში მოულოდნელად ჩნდება. ეს შეხვედრა შეცვლის მის ცხოვრებას.

3 ისლა

**პოლონური ფილმების მე-4
ფესტივალი საქართველოში!**



**ქუთაისი
26-29 მაისი 2022**

**კინო საქართველო
თამარ მეფის ქ. N14**

www.festiwalwislal.pl

თანაფინანსება:



პროპაგანდატორი:



პარტნიორი:





გამწვანება

რეჟ. კაროლინა კაიეტანოვიჩი, ანიმაცია, პოლონეთი, 2021, 7 წთ 55 წმ

გზისპირა გამწვანება არავის მიწაზეა. გაჩნდა გასავლელად და არა მასზე ყოფნისთვის. გეომეტრიული და ხელოვნურად შემოსაზღვრული, მაგრამ ველური სარეველებით გადაზრდილია - ეკუთვნის ადამიანს თუ ბუნებას?



საში ნახტომი ბედნიერებად

რეჟ. არტურ ჰანაი, ანიმაცია, პოლონეთი, 2020, 11 წთ 53 წმ

შავი კომედია ერთი საღამოს შესახებ რამდენიმე ცხოველის ცხოვრებიდან. კუს წყვილს, დათვს და პერსონალურ მწვრთნელ მაიმუნს სურთ იპოვონ თავიანთი ცხოვრების შეგნებული მართვის ნება. ცხოველებზე ზღაპრის თხრობის ეზოპიურ ტრადიციის შესაბამისად მოთხრობილ ისტორიას გადაყვევართ თანამედროვე ეგზისტენციალური პრობლემებისა და გმირებს შორის გაგების მცდელობების დონეზე.



ერთხელ ისრაელიში

რეჟ. ვერონიკა შიმა, ანიმაცია, პოლონეთი, 2021, 10 წთ 41 წმ

ანიმაციური დოკუმენტი მოგზაურობის დღიურის სახით. გოგონა ისრაელში პირველად მიდის. ის პალესტინელზეა შეყვარებული. მისი სამყაროს გამარტივებული ხედვა და კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის მხარდაჭერის სურვილი სდეროტისა და ღაზის სექტორის საზღვრებზე ცხოვრების რეალობას უპირისპირდება.



ჰენარა ვილანდორფიდან

რეჟ. ზუზანა გრაივიჩი, მხატვრული ეტიუდი, პოლონეთი, 2020, 23 წთ

კამილა არის ამბიციური გოგონა, რომელიც ცხოვრობს სამყაროში, სადაც ქარბი წონა ქმნის სილამაზისა და სოციალური სტატუსის იდეალს. რაც მეტს იწონი, მით მეტს ნიშნავ. როდესაც კამილას სიგამხდრე გამოაშკარავდება, გოგონა სამსახურიდან გაათავისუფლებენ. მას შეყვარებულიც კი მიატოვებს. ის უარს ამბობს თავის ძველ ჩაცმულობაზე და გადაწყვეტს შეხედოს რეალობას და მოიმატოს წონაში.



ბოსტნეული და ხილი

რეჟ. მაჩეი იანკოვსკი, მხატვრული ეტიუდი, პოლონეთი, 2021, 26 წთ

თორმეტი წლის ქარბზონიან ვოიტეკს რცხვენია საკუთარი თავის და დედის, რომელიც სავალალო მდგომარეობაში არსებული სასურსათო მაღაზიას მართავს. ერთ უიღბლო დღეს მოზარდი დაუპირისპირდება დედას. სამწუხაროდ, ის დედის შეცვლის სურვილით მას მხოლოდ დაამცივებს.



OPUS MAGNUM - რაჟ. ფილიპ ბოიარსკი

დოკუმენტალური ეტიუდი, პოლონეთი, 2020, 30 წთ

ოჯახის სახლის სხვენში ვიპოვე ჩემი ბაბუის ძმის ვაცლავის ავტობიოგრაფია. ვაცლავმა აღწერა საიდუმლო მიწისქვეშა ორგანიზაცია, რომელიც მან დააარსა ლოდში მეორე მსოფლიო ომის დროს. მისი იდეალური ცხოვრების შესახებ ოჯახში არავინ იცის, მეტიც, მის შესახებ მოგონებები ეწინააღმდეგება ფურცლებიდან წაკითხულ ცნობებს.



რეჟ. კონრად აკსინოვიჩი, დრამა, პოლონეთი, 2021, 104 წთ. 16+

ტომეკი მარტო დედასთან ცხოვრობს, რადგან მამამისი ალუკი აშშ-ში ფულის საშოვნელად გაემგზავრა. მოულოდნელად მამაკაცი სახლში საჩუქრებით ბრუნდება, მაგრამ არავის უხსნის დაბრუნების მიზეზს. ყველა ბედნიერი ჩანს, მაგრამ ჰაერში რაღაც შემაშფოთებელია. დრო გადის და შესამჩნევი ხდება, რომ ალუკი ებრძვის ძლიერ ალკოჰოლურ დამოკიდებულებას, რომელიც თანდათან ანგრევს ტომის ოჯახს და მის ბავშვობას. ბიჭი ძალიან სწრაფად უნდა გაიზარდოს და ბავშვისთვის აუღწერელ რეალობას გაუმკლავდეს.



რეჟ. იეჟი კავალეროვიჩი, ფსიქოლოგიური ფილმი, პოლონეთი, 1959, 93 წთ. 12+

კამერალური ფსიქოლოგიური კვლევა, რომელიც შეაღწევს იმ ადამიანების ინტიმურ ემოციურ მდგომარეობას, რომლებიც ღამეს ატარებენ საძილე მატარებლის საერთო კუბეში. ისინი საკუთარ დრამატულ სიტუაციებში იმყოფებიან და შინაგანად მართოსულნი რჩებიან. ვარშავიდან ჰელში შემთხვევით ნაყიდი მატარებლის ბილეთი მოულოდნელად ახალგაზრდა ქალს დააკავშირებს კაცთან, რომელსაც არ იცნობს. მართას წარსულში ღრმა ემოციური დრამაა. ის ექიმა, რომლის საოპერაციო მაგიდაზე თინეიჯერი პაციენტი თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ ვერ გადააჩრინა, რასაც ძალიან განიცდის.



რეჟ. იან პ. მატუშინსკი, დრამა, პოლონეთი, 2021, 165 წთ. 16+

პოლონეთი, 1983 წელი. გაუქმების მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ ძალაშია კომუნისტური ხელისუფლების მიერ დაწესებული საომარი მდგომარეობა, რომელიც მიზნად ისახავს სოლიდარობის ოპოზიციის ჩახშობას. 12 მაისს ოპოზიციური პოეტის ბარბარა სადოვსკას ვაჟი, გვეგოჟ პშემიკი, დააკავა და სასტიკად სცემა მილიციის პატრულმა. პშემიკი ორდღიანი აფონიის შემდეგ გარდაიცვალა. სასიკვდილო ცემის ერთადერთი მოწმეა გვეგოჟის ერთ-ერთი კოლეგა, იურეკ პოპიელი, რომელიც გადაწყვეტს იბრძოლოს სამართლიანობისთვის და მისცეს ჩვენება პოლიციელების წინააღმდეგ.



ანიმაციური ფილმი, პოლონეთი, 2019, 88 წთ. 16+

საყვარელი ადამიანების დაკარგვის შემდეგ სასონარკვეთილებისგან თავის დაღწევის მიზნით გმირი იმალება მოგონებების უსაფრთხო ქვეყანაში, სადაც დრო შეჩერდა და ყველა მისი საყვარელი ადამიანი ცოცხალია. წლების განმავლობაში ქალაქი მის წარმოსახვაში ვითარდება. ფილმი არის ავტობიოგრაფიული ჩანახატი ბავშვობის სურათების მოგონება, რომელშიც ცოცხლდება მათი გარდაცვლილი მშობლებისა და მშობლიური ქალაქ ლოდის მოგონებები.